

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №14

29 აგვისტო 2016 წელი

ქ. ბათუმი
12⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მუჯვანაძე, მკვა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია და მამუკა კოპალეიშვილი.

არ ესწრებოდა: მამუკა ჯაში.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოსმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

1. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს წარუდგინა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ 2016 წლის 24 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაციამ ა.(ა).ი.პ. „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“ მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა დონის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარების თაობაზე, 2016 წლის 26 აგვისტოს არასამთავრობო ორგანიზაციამ დამატებით წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული წესდება ვინაიდან თავდაპირველად მის მიერ წარმოდგენილი წესდება არ იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას: ა.(ა).ი.პ. „საქართველო კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე